საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კოდისპირი

კოდისპირი, სახელმწიფო გადასახადი გვიანი შუა საუკუნეების აღმ. საქართველოში. იხდიდა თითოეული კომლი ოთხი კოდი პურის ან ორი კოდი პურისა და ორნახევარი კოდი ქერის სახით. XIX ს. დასაწყისიდან კ-ს იხდიდნენ მხოლოდ სახელმწ. გლეხები. გადასახადით არ იბეგრებოდნენ თუშები, ფშავლები, ხევსურები და იმ ტერიტორიების მოსახლეობა, სადაც ხორბლის მოყვანა შეუძლებელი იყო. XIX ს. 40-იანი წლებიდან კ., ისე როგორც ყველა სხვა გადასახადი, ერთიანი საკომლო გადასახადით შეიცვალა.